ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე
ხათუნა ჩხაიძე - კოლეგიის წევრი
თეიმურაზ თოდრია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ე. ძ.
საჩივრის კოლეგიაში შემოსვლის თარიღი: 11.03.2015
საჩივრის რეგისტრაციის #020/15
საჩივარი შემოტანილია - ადვოკატ ნ. დ. -ის მიმართ, /სიითი # /
საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. დ. -ის მიმართ, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2015 წლის 11 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ე. ძ. -მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. დ. -ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი 2013 წლის 20 დეკემბერს იგი დააკავეს, ხოლო შემდეგ დააპატიმრეს დანაშაულის ჩადენის ბრალდებით. აღნიშნულ საქმეში, მის ინტერესებს იცავდა ოჯახის მიერ დაქირავებული ადვოკატი ნ. დ. . ე. ძ. -ის განმარტებით მისი საქმის განხილვა ბათმუს საქალაქო სასამართლოში გაგრძელდა ცხრა თვის მანძილზე, ხოლო მის საქმეში არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა საჩივრის ავტორის უდანაშაულობას, თუმცა, ნ. დ. -მ ვერ შეძლო საქმის ე. ძ. -ის სასარგებლოდ დასრულება და ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენის შედეგად მას სასჯელის სახედ განესაზღვრა 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოში საქმის გასაჩივრების წინ იგი შეხვდა ნ. დ. -ს და განუცხადა, რომ თუ იგი, მისი ვარაუდით, ვერ შეძლებდა სააპელაციო სასამართლოში საქმის მისთვის სასარგებლო შედეგით დასრულებას, საჩივრის ავტორი სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართავდა სხვა ადვოკატს. ე. ძ. -ის განცხადებით, აღნიშნულის პასუხად ნ. დ. -მ განუმარტა მასა და მის ოჯახს, რომ იგი სააპელაციო სასამართლოში სამართალწარმოებისას ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ საქმე დასრულებულიყო ე. ძ. -ის სასარგებლოდ.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ე. ძ. -ისათვის სასჯელის სახით 12 (თორმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრის შესახებ. საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად საქმეში მისთვის სასარგებლო მტკიცებულებებისა და პროცესუალური დარღვევებისა, ადვოკატი არ ახორციელებდა შესაბამის იურიდიულ მოქმედებებს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი და ადვოკატის მონაწილეობით მომზადებულ იქნა საკასაციო საჩივარი, ასევე, აღმოჩენილ იქნა ახალი გარემოება, რომელიც დაადასტურებდა ე. ძ. -ის უდანაშაულობას. საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. დ. -მ მას საკასაციო საჩივარზე ხელი მოაწერინა 2014 წლის 16 ოქტომბერს და, ვინაიდან გასაჩივრების ვადა იწურებოდა 2014 წლის 18 ოქტომბერს, მან სთხოვა ადვოკატს არ გაეშვა გასაჩივრების ვადა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას 2014 წლის ოქტომბერში მიუვიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წერილი, რომელიც უთითებდა, რომ ე. ძ. -ის საკასაციო საჩივარი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ იქნა ჩაბარებული და ვადის დარღვევისათვის საპატიო მიზეზის არარსებობის შემთხვევაში იგი განუხილველი დარჩებოდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. დ. -მ მას განუცხადა, რომ მან გასაჩივრების ვადის გასვლამდე შეიტანა საჩივარი უზენაეს სასამართლოში, ხოლო აღნიშნული წერილის გამოგზავნა იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნ. დ. -მ , მასთან შეუთანხმებლად, შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ საკასაციო საჩივრის ჩაბარების ვადის

დარღვევა მოხდა საქართველოს ფოსტის თანამშრომლების ბრალით, ამიტომ, არსებობდა საპატიო მიზეზი და საჩივარი უნდა განხილულიყო. ე. ძ. -ის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტამდე, ადვოკატი მასთან პირად საუბარში აღნიშნავდა, რომ საჩივარი თავად ჩააბარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან რამდენჯერმე სთხოვა ადვოკატს შეხვედრა და საქმის გაგრძელების პერსპექტივის განხილვა, ასევე, თუ საკასაციო საჩივრის დაგვიანებით წარდგენაში ბრალი მიუძღოდა საქართველოს ფოსტას, მიემართათ შესაბამისი ორგანოებისათვის, ხოლო, უკიდურეს შემთხვევაში, ადვოკატს უნდა მოემზადებინა სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მისამართად. ე. ძ. -ის განმარტებით, მიუხედავად თხოვნისა, თავს არიდებდა საჩივრის ავტორთან და მისი ოჯახის წევრებთან შეხვედრას.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, შესაძლოა ადვოკატი მოქმედებდა ბრალდების მხარის ინტერესების შესაბამისად, რაც გამოიხატა საჩივარში მითითებული ქმედებების განხორციელებაში. ე. ძ. -ის განცხადებით, ასევე, ნ. დ. -მ მას მიაწოდა არასწორი ინფორმაცია, თითოქოს საჩივრით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების წინააღმდეგ მათ მიერ განხორციელებული დისციპლინური გადაცდომების გამო.

1.10 2015 წლის 06 აპრილს წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში საჩივრის ავტორი აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია ნ. დ. -ის ახსნა-განმარტებაში მითითებული ფრაზა „რომ მეც და ოჯახის წევრებმაც კარგად ვიცით, რომ უდანაშაულოდ არ ვიხდი სასჯელს“. ასევე, ე. ძ. -ის განმარტებით, იგი მოქმედებს მხოლოდ საკუთარი თავის დასაცავად და არ არის „ინტრიგანი“.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატთან მისი და მისი ოჯახის უთანხმოება დაიწყო საკასაციო საჩივრის შეტანის საკითხსა და ნ. დ. -ის მიერ საჩივრის ავტორის მხარესთან კონტაქტის თავიდან არიდების შემდეგ. ე. ძ. -ის განმარტებით, ვინაიდან იგი იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ტელეფონითა და წერილების გაგზავნით ცდილობდა ადვოკატთან დაკავშირებას, თუმცა, ამ მცდელობას ნ. დ. უპასუხოდ ტოვებდა. ასევე, საჩივრის ავტორის განცხადებით, ნ. დ. თავს არიდებდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო დამცველთან შეხვედრასაც.

1.12 საჩივრის ავტორის განმარტებით, არასწორია ადვოკატის მითითება, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სხდომის მიმდინარეობისას პროკურორმა ტელეფონით შესვენებაზე ისარგებლა, ვინაიდან პროკურორმა აღნიშნული ქმედება განახორციელა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, რაზეც, ადვოკატმა, როგორც თვითონვე აცხადებდა, საჩივრით მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

1.13 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი მართლაც დამნაშავე რომ ყოფილიყო, ადვოკატის მიერ საკუთარ ახსნა-განმარტებაში აღნიშნული გარემოებების მითითებით ნ. დ. არღვევს კონფიდენციალობის პრინციპს, რადგან ადვოკატს არ აქვს უფლება საზოგადოდ გაავრცელოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის და კლიენტისათვის არის ცნობილი.

1.14 მესამე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2018 წლის 19 აპრილს. საჩივრის ავტორი, მსჯავრდებული ე. ძ. სხდომაზე არ გამოცხადდა და ასევე, დაკავშირებისას მიუთითა, რომ არ სურდა სხდომაზე გამოცხადებულიყო მისი წარმომადგენელი, ვინაიდან თვლის, რომ საქმეში სრულად არის წარმოდგენილი მისი პოზიცია და მტკიცებულებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატმა ნ. დ. -მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2015 წლის 30 მარტს. ადვოკატის განცხადებით, იგი არ ეთანხმება ე. ძ. -ის საჩივარს და მიიჩნევს, რომ არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის პრინციპები. ნ. დ. -ის განმარტებით, იგი საჩივრის ავტორის სისხლის სამართლის საქმეში ჩაერთო ე. ძ. -ის ოჯახის წევრების თხოვნით, მისი დაკავებიდან 40 (ორმოცი) დღის შემდეგ, წინასასამართლო სხდომის წინა დღეს.

2.2. ადვოკატის განცხადებით, იგი შეხვდა საჩივრის ავტორს, სადაც ე. ძ. -მ გადასცა საქმის მასალები და განუმარტა, რომ თავს სცნობდა დამნაშავედ და მისთვის მთავარი იყო სასჯელის შემსუბუქება, რაც საპროცესო შეთანხმებით შეიძლებოდა ყოფილიყო მიღწეული. ნ. დ. -ს განმარტებით, ის და საჩივრის ავტორი შეთანხმდნენ, რომ წინასასამართლო სხდომაზე უდავოდ იქნებოდა მიჩნეული ყველა მტკიცებულება. ადვოკატის განცხადებით, ე. ძ. -ს არ უთქვამს მისთვის, რომ უდანაშაულო იყო, ხოლო ნ. დ. -მ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ აღმოაჩინა, რომ საჩივრის ავტორის დაკავების დრო არ ემთხვეოდა საზღვრის კვეთის დროს. ადვოკატის მოსაზრებით, სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ე. ძ. -ის უდანაშაულობას, არ არსებობდა.

2.3. ადვოკატის განმარტებით, წინასასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ე. ძ. -მ მისი ძმის თანდასწრებით განუცხადა ნ. დ. -ს , რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს მიიჩნევდა უდავოდ, ხოლო მოსამართლეს განუცხადა, რომ თავს სცნობდა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით.

2.4. ადვოკატის განცხადებით, საქმის მსვლელობა გაგრძელდა დაახლოებით 9 (ცხრა) თვის მანძილზე, ხოლო ამ დროის მანძილზე ნ. დ. თითქმის ყოველ კვირაში ერთხელ ხვდებოდა ადვოკატს როგორც ქუთაისის №2, ასევე, ბათუმის №3 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მას შემდეგ, რაც ე. ძ. გადაიყვანეს აღნიშნულ დაწესებულებაში.

2.5. ადვოკატის განმარტებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, სასამართლო სხდომის დროს არ მომხდარა არსებითი დარღვევები გარდა იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა სახელმწიფო ბრალმდებელს, რომელსაც არ ჰქონდა სრული ინფორმაცია განსახილველი საქმის შესახებ, მისცეს უფლება შესვენების გამოცხადების შემდეგ დაერეკა ტელეფონით და მიეღო კონსულტაცია საქმის ზედამხედველი პროკურორისაგან. ნ. დ. -ის განცხადებით, მოსამართლეების შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდა პროკურორი მთელი დღის მანძილზე და რატომ არ მოიძია არგუმენტები საკუთარი პოზიციის გასამყარებლად, ბრალმდებელმა უპასუხა, რომ არაფერი

გაუკეთებია. ადვოკატის განმარტებით, იგი სასამართლო პროცესზე მოქმედებდა მისი შესაძლებლობების შესაბამისად, ხოლო ე. ძ. არის „ინტრიგანი“.

2.6. ადვოკატის განცხადებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სხდომებს ესწრებოდა ე. ძ. -ის ძმა, ასევე, არასწორია საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, რომ ნ. დ. საჩივრის ავტორის ოჯახს ცრუ ინფორმაციას აწვდიდა და გარანტიას აძლევდა საქმის წარმატებით დასრულებასთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, იგი საჩივრის ავტორის ოჯახის წევრებს სთხოვდა სხდომაზე დასწრებას და, ასევე, ე. ძ. -ის მონაწილეობის გარეშე არ დასწრებია არც ერთ სხდომას.

2.7. ადვოკატის განმარტებით, მან 2014 წლის 16 ოქტომბერს მოაწერინა ხელი ე. ძ. -ს საკასაციო საჩივარზე და განუმარტა, რომ საჩივარს გააგზავნიდა საქართველოს ფოსტის მეშვეობით, დაჩქარებული წესით. ნ. დ. -ის განცხადებით, საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გააგზავნა დაჩქარებული წესით და ფოსტის მუშაკების მიერ განემარტა, რომ გზავნილი სასამართლოს ჩაბარდებოდა მომდევნო დღეს - 17 ოქტომბერს.

2.8. ადვოკატის განცხადებით, საკასაციო საჩივარზე უარის თქმა იყო არასწორი გადაწყვეტილება, რადგან საჩივარი ფოსტას ჩაბარდა 16 ოქტომბერს, ხოლო 18 ოქტომბერი იყო შაბათი-არასამუშაო დღე, შესაბამისად, მიზეზი საპატიო უნდა ყოფილიყო. ნ. დ. -ის განმარტებით, მას არასოდეს შეუშლია ხელი საჩივრის ავტორისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობა დაემყარებინა სხვა ადვოკატთან.

2.9. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორისა და მისი ოჯახისათვის ცნობილია, რომ ე. ძ. უდანაშაულოდ არ იხდის სასჯელს, რადგან მას „ნარკოტიკი ამოუღეს კუჭიდან“. ნ. დ. -ის განცხადებით, ხელშეკრულების მიხედვით, იგი არ იყო ვალდებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოედგინა ე. ძ. . ადვოკატის განმარტებით, იგი აღარ ხვდებოდა საჩივრის ავტორს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ვინაიდან შეხვედრებზე ე. ძ. მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა, ასევე, გასული იყო ორდერის მოქმედების ვადა, ხოლო ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე საჩივრის ავტორის ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს.

2.10. 2015 წლის 31 მარტს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ იგი კეთილსინდისიერად წარმოადგენდა ე. ძ. -ის ინტერესებს და არ მოქმედებდა ბრალდების მხარის ინტერესების შესაბამისად. ნ. დ. -ის განმარტებით, საჩივრის ავტორი აღიარებდა დანაშაულის ჩადენის ფაქტს, თუმცა, სურდა საპროცესო შეთანხმების პირობების ცვლილება-ბრალდების მხარის შემოთავაზების მიხედვით, ე. ძ. -ს სასჯელის სახით შეეფარდებოდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით და ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო საჩივრის ავტორს სურდა 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება. აღნიშნულთან მიმართებით ბრალდების მხარემ უარი განაცხადა.

2.11. ადვოკატის განმარტებით, მან ფოსტის მეშვეობით სასწრაფო გზავნილით გააგზავნა საკასაციო საჩივარი, ხოლო ფოსტის თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ გაგზავნის მეორე დღეს გზავნილი ჩაბარდებოდა. ნ. დ. -ის განცხადებით, მას არ ჩაბარებია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს წერილი, რომელიც, ე. ძ. -ის განმარტებით, გაეგზავნა თავად საჩივრის ავტორს.

2.12. ადვოკატის განცხადებით, მან გაასაჩივრა სასამართლოს უარი საკასაციო სასამართლოს მიღებაზე, თუმცა, მისი საჩივარი განჩინებით არ დაკმაყოფილდა, ხოლო განჩინება იყოო საბოლოო. ნ. დ. -ის განმარტებით, მასა და ე. ძ. -ს შორის გაფორმებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების საგანი იყო საჩივრის ავტორის წარმომადგენლობა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში იურიდიული მომსახურება გააგრძელა ზეპირი შეთანხმებით.

2.13. მესამე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2018 წლის 19 აპრილს. ადვოკატმა ნ. დ. -მ ზეპირი ახსნა-განმარტება წარმოადგინა ელექტრონული გამოკითხვის მეშვეობით. ადვოკატი დაეთანხმა მის მიერ უკვე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებს და დამატებით განაცხადა, რომ მათ მიმართეს სახალხო დამცველს და შეხვდნენ ე. ძ. -ის საქმეზე სასაუბროდ, იმის მითითებით, რომ საჩივრის ავტორი იყო უკანონოდ დაპატიმრებული. თუმცა, აღნიშნულმა ვითარება არ შეცვალა.

2.14. ადვოკატის განცხადებით, რაც შეეხება ფრაზას, რომ ე. ძ. -ს ნარკოტიკული საშუალება ამოუღეს კუჭიდან და იგი უდანაშაულოდ არ იხდის სასჯელს, ეს განცხადება გაკეთებულია სააპელაციო განაჩენის მიხედვით, ხოლო თავად სასამართლო პროცესი დახურული არ ყოფილა, შესაბამისად, მის მიერ არ ირღვევა კონფიდენციალობის პრინციპი.

2.15. ადვოკატი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის შევხვდა 16 ოქტომბერს, რა დროსაც ე. ძ. -მ საკასაციო საჩივარზე მოაწერა ხელი. ვინაიდან 18 ოქტომბერს გადიოდა საჩივრის შეტანის ვადა, იგი გაგზავნა ფოსტის მეშვეობით, დაჩქარებული წესით და 24 საათში უნდა ჩაბარებოდა სასამართლოს., მაგრამ ფოსტამ დააგვიანა და ამიტომ მიიღეს უარი. ადვოკატის განმარტებით, მან ფოსტის თანამშრომლის მიმართ საჩივარიც დაწერა, რის საფუძველზეც იგი გაათავისუფლეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. მას გარანტია ჰქონდა მიღებული მენეჯერისაგან, რომ გზავნილი დროულად ჩაბარდებოდა. დაჩქარებული გზავნილის წესით გაგზავნა სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ გასაჩივრების ვადის გასვლამდე დარჩენილი იყო მცირე დრო.

2.16. ადვოკატის განმარტებით, მას 17 ოქტომბერს ჰქონდა სასამართლო პროცესი სხვა საქმეზე, შესაბამისად, თავად ვერ ჩააბარებდა საჩივარს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და აღნიშნულის შეთავაზება კლიენტისათვის არ გაუკეთებია, ხოლო სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციისათვის საჩივრის ჩაბარებაზე თავად ე. ძ. არ იყო თანახმა, რადგან ფიქრობდა, რომ მის წერილებს „ბლოკავდნენ“.

2.17. ადვოკატის განცხადებით, მან საქმის მასალები მიიღო გამომძიებლისაგან.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2015 წლის 08 აპრილს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. დ. -ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. დ. -მ არაკვალიფიციური წარმომადგენლობა გაუწია ე. ძ. -ს, კერძოდ დროულად არ შეიტანა საკასაციო საჩივარი და ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში გამოიყენა ინფორმაცია, რომელიც კლიენტის წარმომადგენლობისას მიიღო და რომელიც კონფიდენციალობით იყო დაცული, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-7 მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი, მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. ადვოკატი ნ. დ. წარმოადგენდა ე. ძ. -ის ინტერესებს საქართველოს სამივე ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატის 2015 წლის 31 მარტის ახსნა-განმარტება
2. საჩივრის ავტორის 2015 წლის 11 მარტის ახსნა-განმარტება

4.1.2 ადვოკატმა ნ. დ. -მ საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გააგზავნა ფოსტის მეშვეობით. საჩივარი სასამართლოს ჩაბარდა გასაჩივრების ერთთვიანი ვადის დარღვევით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატ ნ. დ. -ის 2018 წლის 19 აპრილის ზეპირი ახსნა-განმარტება.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 07 ნოემბრის განჩინება.

4.1.3 ადვოკატმა ნ. დ. -მ 2014 წლის 28 ოქტომბერს შუამდგომლობით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებისათვის გაცდენილი ვადის აღდგენის შესახებ. შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან ადვოკატმა ვერ მიუთითა საპატიო მიზეზზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2014 წლის 07 ნოემბრის განჩინება.

4.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის სადავო გარემოებები.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. დ. -ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. დ. -ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ადვოკატი ვალდებულია: ,,კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები";

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

6.2 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე. ადვოკატს, ამის შემდეგ წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კლიენტის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც აკრძალული არ არის კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.

6.3 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 07 ივლისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №035/10 განმარტა, რომ „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა საქართველოს კანონით ადვოკატთა შესახებ (მუხლი - 2,5,6.) არ მოიცავს კლიენტის მხოლოდ

ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

6.4 განხილვის კოლეგია ეთანხმება საპროცესო კოლეგიის მოსაზრებას და მიუთითებს, რომ საქმეში არსებული, 2014 წლის 07 ნოემბრის, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით, დასტურდება საპატიო მიზეზის არსებობის გარეშე საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადის დარღვევა. ნ. დ. -ის მიერ, როგორც ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში, ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსათვის მითითებულია საპატიო მიზეზის შესახებ, თუმცა, სასამართლოს განჩინებაში მითითებულია, რომ აღნიშნული მიზეზი არ ჩაითვალა საპატიოდ, ვინაიდან ადვოკატს საკასაციო საჩივარი ერთი თვის ვადაში უნდა ჩაებარებინა უფლებამოსილი პირისათვის, რომელიც იქნებოდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ან ჩაბარებაზე უფლებამოსილ პირად ჩაითვლებოდა მსჯავრდებულის ადგილსამყოფელი სასჯელაღსრულების შესაბამისი ადმინისტრაცია. ადვოკატმა არც ერთი შესაძლო ქმედება არ განახორციელა.

6.5 ნ. დ. -მ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ ე. ძ. არ ენდობოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციას იმიტომ, რომ მის წერილებს „ბლოკავდნენ“ და, შესაბამისად, უარი ითქვა საჩივრის ჩაბარებაზე შესაბამის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, თუმცა, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს შეეძლო შესაბამის ვადაში ჩაებარებინა საკასაციო საჩივარი დაწესებულების ადმინისტრაციისათვის და მიეღო დასტური, რაც შექმნიდა იმის მტკიცებულებას, რომ საჩივარი შესაბამის ვადაში ჩაბარდა უფლებამოსილ პირს.

6.6 ადვოკატმა საკუთარ თავზე აიღო რისკი - საკასაციო საჩივარი არ ჩააბარა სასჯელაღსრულების შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციას, ასევე, ვინაიდან სხვა საქმეზე სასამართლო პროცესი ჰქონდა ჩანიშნული, თავად არ მიიტანა საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. ნ. დ. -მ ფოსტის დაჩქარებული გზავნილის მეშვეობით გადაწყვიტასაკასაციო საჩივრის ჩაბარება. საბოლოო ჯამში, აღნიშნული რისკი გაუმართლებელი აღმოჩნდა.

6.7 შესაბამისად, ე. ძ. -ის ინტერესებს მიადგა ზიანი - მან ვერ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით, უზენაეს სასამართლოში.

6.8 განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ კონფიდენციალობის დარღვევასთან მიმართებით არ იზიარებს საპროცესო კოლეგიის მოსაზრებას. ადვოკატი განმარტავს, რომ მის მიერ მითითებული ფრაზები, რომ ე. ძ. -ს „ნარკოტიკი ამოუღეს“ და იგი „უდანაშაულოდ არ იხდის სასჯელს“ განპირობებულია საქმის შედეგით და ეს ფაქტები მითითებულია საბოლოო განაჩენში. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ თარიღდება 2014 წლის 07 ნოემბრით, ხოლო ადვოკატის ახსნა-განმარტება 2015 წლის 30 მარტით. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განჩინებით ე. ძ. -ის

საქმეზე წარმოება დასრულდა. შესაბამისად, ადვოკატის მიერ ახსნა-განმარტების წარმოდგენის თარიღისათვის ე. ძ. -ის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში იყო შესული.

6.9 მოცემულ შემთხვევაში, რადგან დადგინდა ადვოკატ ნ. დ. -ის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, ეთიკის კომისიამ უნდა იმსჯელოს თუ რა სახის სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება შეიძლება იქნეს გამოყენებული მის მიმართ.

6.10 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

6.11 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

6.12 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა დაარღვია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის, პროფესიული ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული ვალდებულება, რითაც კლიენტის მიაყენა ზიანი. შესაბამისად, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატ ნ. დ. -ის მიმართ, მიზანშეწონილია დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის "ა" ქვეპუნქტით, 32-ე მუხლის პირველი პუნქტით, 34-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, 35-ე, 36-ე მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-19, მე-20 მუხლებით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. დ. -ის მიმართ /სიითი № / დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. ადვოკატ ნ. დ. -ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/